ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 12

16 თებერვალი 2018 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა,სარეკიზიო, კულტურის და განათლების და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიებთან ერთად

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო -საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი-ირაკლი თავართქილაძე

მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ვლადიმერ ჭიღლაძე

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე-ირინა ჭეიშვილი

სსიპ ბაღების მართვის სააგენტოს საფინანსო განყოფილების უფროსი - დავით კერესელიძე

მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსი- ვახტანგ ჭედიშვილი; მოადგილე- ნათია ლატარია

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი- მამუკა მუმლაძე, მოადილე - მალხაზ ჭამპურიძე

შპს „სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორი- მამუკა კობახიძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე,თემურ გორგაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

გაერთიანებული კომისიების სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დღის წესრიგის პირველ საკითხს განიხილავს ყველა კომისია, ხოლო დანარჩენი საკითხების განხილვას განაგრძობს ქონების მართვის და საფინანსო საბუჯეტო კომისია.

კენჭი უყარეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

(№12-0318044124-03)

2. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი №11-01180432894 „ქალაქთბილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ.

№12-03180462-03

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრების მიერ დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შესახებ ისაუბრა გაიოზ თალაკვაძემ. მან აღნიშნა, 2018 წლის ბიუჯეტი იზრდება 35 254,6 ათასი ლარით. აქედან 2018 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების გამოყენება 34 677,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი 34 652,7 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხებიდან არსებული ნაშთი 25,2 ათასი ლარი და მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში პირველ ეტაპზე ჩარიცხული 186,0 ათასი ევროს ოდენობით, რაც ეროვნული ვალუტის კურსით შეადგენს 576,7 ათას ლარს, შესაბამისად ბიუჯეტის მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 896 863,6 ათას ლარი.

ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და ნაშთის ცვლილების გათვალისწინებით იზრდება ბიუჯეტის გადასახდელებიც.

ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილში გარდა ნაშთისა, ცვლილება ხდება 15 716,6 ათასი ლარის.

ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მომრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) 31 221,1 ათასი ლარით, ავტობუსების შესაძენად; 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები (კოდი 02 11) – 25,2 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 3 798,7 ათასი ლარით, თბილისის ტერიტორიაზე მწვანე თარგების მოწყობისა და ხე-მცენარეების შეძენა-მოვლისთვის; ევროკავშირის გრანტის ფარგლებში იზრდება ბიზნესის სტიმულირების (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 576,7 ათასი ლარით; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის (კოდი 07 01 02) ასიგნებები - 4 100,0 ათასი ლარით, საბავშვო ბაგა-ბაღების გამაგრებისა და კაპიტალური რემონტებისათვის; საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების (კოდი 07 02 04) ქვეპროგრამის ასიგნებები - 717,8 ათასი ლარით, ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის, მათ შორის შრომის ანაზღაურება 615,0 ათასი ლარით;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეფორმასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს მერიის ადმინისტრაციიდან მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის, რაიონის გამგეობებიდან მომსახურების განყოფილებების, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მოქალაქეთა მომსახურების განყოფილების თანამშრომლების ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში გადასვლას, მნიშვნელოვნად იზრდება მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ფუნქციები, შესაბამისად ამ მიზნით (საკანცელარიო, საფოსტო ხარჯები და სხვა) იზრდება სააგენტოს ასიგნებები 420,7 ათასი ლარით. ასევე, იზრდება სააგენტოში საშტატო რიცხოვნობა 158 ერთეულით, რაც იწვევს შრომის ანაზღაურების ნაწილში 1 967,8 ათასი ლარით გაზრდას, ხოლო ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა დანარჩენი ხარჯების გათვალისწინებით იზრდება სააგენტოს ასიგნებების მოცულობა 1 870,0 ათასი ლარით, ხოლო რაიონის გამგეობებში რიგის მართვის სისტემების შეძენისთვის 200,0 ათასი ლარით, სულ საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობის (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება 4 458,4 ათასი ლარით;

იზრდება მერიის ადმინისტრაციის ასიგნებები (კოდი 10 02) – 3 364,1 ათასი ლარით, ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულის რემონტის, ზედამხედველობის სამსახურისათვის ავტომობილების შესაძენად და ქალაქის ბრენდინგისათვის, ასევე საშტატო რიცხოვნობის ზრდიდან გამომდინარე იზრდება შრომის ანაზღაურების ფონდი იურიდიულ საქალაქო სამსახურში (კოდი 10 12) – 12,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობაში (კოდი 10 35) – 117,0 ათასი ლარით საშტატო რიცხოვნობის ზრდისა და ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით საოფისე ხარჯებისათვის. ასევე, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში (კოდი

10 07) – 855,3 ათასი ლარით, მათ შორის საშტატო რიცხოვნობის ზრდიდან გამომდინარე იზრდება შრომის ანაზღაურების ფონდი - 209,5 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს დაემატა შემდეგი ახალი პროგრამები/ქვეპროგრამები: უფასო სასადილოების ბენეფიციართა რეგისტრაციისა და აღრიცხვის უზრუნველყოფის (კოდი 06 02 14 16) ქვეპროგრამა - 259,0 ათასი ლარის ოდენობით; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (კოდი 10 40) – 17,8 ათასი ლარის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (კოდი 10 43) – 831,5 ათასი ლარის, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური (კოდი 10 44) – 625,4 ათასი ლარის და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 45) – 637,0 ათასი ლარის ოდენობით.

ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიების ხარჯზე, მცირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობებზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებები 5 408,8 ათასი ლარით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების ახალი საშტატო ნუსხების დამტკიცების შედეგად, მოხდა სახელფასო ნაწილის გადაანგარიშება, შესაბამისად შრომის ანაზღაურების მუხლში არსებული რესურსი ჯამურად შემცირდა 1 882,0 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობებისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წინადადებების გათვალისწინებით შემცირდა მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებები 8 425,8 ათასი ლარით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ცალკეული პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები შემცირდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში, მათ შორის:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის პრიორიტეტის ფარგლებში მცირდება ასიგნებები 7 565,6 ათასი ლარით, მათ შორის: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) – 410,8 ათასი ლარით; მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) – 5 000,0 ათასი ლარით.

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრების პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 2 766,4 ათასი ლარით, მათ შორის: ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) – 1 894,7 ათასი

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 645.8 ათასი ლარით, მათ შორის: დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 645,8 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია თბილსერვის ჯგუფიდან შესაბამისი ფუნქციის ზედამხედველობის სამსახურზე გადაცემით.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 44,3 ათასი ლარით, მათ შორის: თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) – 44,3 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია ახალი საშტატოს განრიგის დამტკიცებით, რომლის თანახმად მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 3 ერთეულით;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 22,1 ათასი ლარით.

ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 5 318,1 ათასი ლარით., მათ შორის: მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10 02) ასიგნებები 1 202,0 ათასი ლარით. ასევე, დაზუსტდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში ცალკეული სამსახურების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში მომუშავეთა რიცხოვნობები. სხდომაზე გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილებების წარმოდგენილ პროექტში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის (პროგრამული) შეცდომა, კერძოდ მომუშავეთა საერთო რიცხოვნობა უნდა იყოს 4997 .

ბიუჯეტის ცვლილებების განხილვა გაიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.
შეკითხვები ქონდათ ირაკლი ნადირაძეს,ნიკა ვაჩეიშვილს, ლევან ხაბეიშვილს.
ირაკლი ნადირაძე დაინტერესდა თუ რამ გამოიწვია 34 მლნ ლარის ნაშთის არსებობა, 2017 წლის ბიუჯეტი ვერ შესრულდა?, რაზედაც გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ბიუჯეტის ყველა პროგრამა 98%-თაა შესრულებული. ირაკლი ზარქუამ კი მას წინა წლების ბიუჯეტის ნაშთებთან დაკავშირებით ინფორმაცია გადასცა. გარდა ამისა ირაკლი ნადირაძემ იკითხა შპს „მწვანე ქალაქის“ დაფუძნების შემდეგ, საშტატო ერთეული რამდენით იქნება განსაზღვრული კომპანიაში, აისახება თუ არა მათი რიცხვი ბიუჯეტში და კომპანიის დაფინანსება ბიუჯეტიდან რა გზით მოხდება-კაპიტალის ზრდით? კითხვაზე განმარტა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით შპს-ეს შტატები ბიუჯეტში არ აისახება, რაც შეეხება დაფინანსებას, გამწვანების პროგრამიდან კომპანიას კაპიტალის ზრდის სახით გადაერიცხება თანხა. შეკითხვები იყო აგრეთვე ბაგა-ბაღების პროგრამის ზრდასთან დაკავშირებით, რაზედაც განმარტა დავით კერესელიძემ. გარდა ამისა შეკითხვები ეხებოდა ახალი ავტობუსების შემოყვანის თემას. დეპუტატები დაინტერესდნენ რომელ კომპანიასთან დაიდება ხელშეკრულება, იქნებოდა თუ არა ეს ჩინური კომპანია. მათ შეკითხვებზე მამუკა მუმლაძემ განმარტა, რომ არსებულთან შედარებით, ეს ავტობუსები 100%-ით უფრო ხარისხიანი და კომფორტული ავტობუსები იქნება.
შეკითხვების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-7. წინააღმდეგი- ირაკლი ნადირაძე

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა: მიეცეს რეკომენდაცია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი №11-01180432894 „ქალაქ თბილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ. მისი თქმით კრწანისის რაიონის გამგეობას, გორგასლის ქ.№23-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაციისათვის, ასევე რაიონის ტერიტორიაზე არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების დემონტაჟისა და წინმსწრები დამზღვევი სამუშაოების დასაფინანსებლად „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამაში პირველ კვარტალში ესაჭიროება 125 000 ლარის დამატება, ასევე დედის დღესთან დაკავშირებითჩასატარებელი ღონისძიებებისათვის „„კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების“ პროგრამაში ითხოვს პირველი კვარტლის გეგმის 3030 ლარით გაზრდას, თანხების შესაბამისად მომდევანო კვარტლებიდან გადმოტანით. გარდა ამისა არ არის საკმარისი პირველ კვარტალში თანხები სარეზერვო ფონდში და 200 000 ლარის გადმოტანა ხდება მესამე და მეოთხე კვარტლებიდან პირველ კვარტალში.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც კრწანისის რაიონის გამგეობა ითხოვს, კთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში(კოდი 02 09 18) პირველი კვარტლის გაზრდას 125 000 ლარით და „კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში“ (კოდი 08 11 09) პირველი კვარტლის გეგმის გაზრდას 3030 ლარით, ასევე საფინანსო საქალაქო სამსახურის ითხოვს, მერის სარეზერვო ფონდის პირველი კვარტლის გეგმის გაზრდას 200 000 ლარით, შესაბამისად მომდევნო კავრტლის გეგემების შესაბამისად შემცირების ხარჯზე, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად

მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ირაკლი თავართქილაძემ. მისი თქმით წარმოდგენილი ახალი დებულების მიზანია სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფა. იცვლება სააგენტოს სტრუქტურა და ქვედანაყოფების ფუნქციები. სააგენტოში არსებობს სამი სამსახური და შვდი განყოფილება. ახალი დებულებაში დეტალურად არის გაწერილი როგორც სამსახურების, ასევე განყოფილებების ფუნქციები.

მომხრე 7 , თავი შეიკავა- ირაკლი ნადირაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა: მიეცეს რეკომენდაცია" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა